



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 552

16/03/2018

ქალაქი ბათუმი

552-05-4-201803161720



ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის, რეზო ვარშანიძის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების II რანგის უფროსისა და კობა თევზაძის - მერის თანაშემწის სენაკის მუნიციპალიტეტში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 16 მარტის №4386/05 კორექსოდენციისა და რეზო ვარშანიძის 2018 წლის 16 მარტის №791 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი, რეზო ვარშანიძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების II რანგის უფროსი და კობა თევზაძე - მერის თანაშემწე, მივლინებული ვართ სენაკის მუნიციპალიტეტში, 2018 წლის 30 იანვრის N224 განკარგულებით დამტკიცებული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 6075 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი ინსექტიციდისა და 464 ერთეული ფერომონის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით, 2018 წლის 19 მარტს.

2. სენაკის მუნიციპალიტეტში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა ჰუნდაი ტუქსონი სახელმწიფო ნომრით LLZ-344 და გამოიყოს 100 ლიტრი საწვავი.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - საფინანსო-საბიუჯეტო (ტ. ნაკაშიძე) და ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების (მ. კვირიტიძე) სამსახურებს, უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა